KINGS · ქართული ენის ოლიმპიადა

ტესტების მიმოხილვა

X კლასი · 2026 წლის შემოდგომა

I უფასო ტური · 8 ნოემბერი

ტესტის სტრუქტურა

#	სავარჯიშო	შეკითხვა	ქულა
I	წინადადების მთავარი და არამთავარი წევრები	5	10
II	მარტივი და რთული წინადადება	5	10
III	წინადადების ტიპები შინაარსის მიხედვით	5	10
IV	ჩართული და მიმართვა	5	15
V	სასვენი ნიშნები	5	15
VI	ტექსტის გააზრება	10	40
+	ბონუს სექცია	5	+25
	სულ	**35 + 5**	**100 + 25**

ტესტის შესახებ

X კლასის ტესტი შედგება **6 სავარჯიშოსა** და **ბონუს სექციისგან**. ძირითადი ნაწილი შეიცავს **35 შეკითხვას** და ფასდება **100 ქულით**, ბონუს სექცია კი **5 შეკითხვას** (დამატებით **25 ქულა**). ყველა შეკითხვა დახურული ტიპისაა: სამი სავარაუდო პასუხიდან (ა, ბ, გ) სწორია **მხოლოდ ერთი**. ტესტი ამოწმებს სინტაქსისა და პუნქტუაციის ცოდნას, ლექსიკას და ვრცელი ისტორიული ტექსტის გააზრებას.

სავარჯიშოები

I. წინადადების მთავარი და არამთავარი წევრები

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 2 ქულა თითოეულზე · სულ 10 ქულა**

წინადადების მთავარი და არამთავარი წევრები: ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება, განსაზღვრება და გარემოება.

მაგალითი

რომელია ქვემდებარე წინადადებაში: „დილით მთებს ნისლი ფარავდა“? **ა) ნისლი** **ბ)** მთებს **გ)** დილით

სწორი პასუხი: ა) ნისლი → ქვემდებარე პასუხობს კითხვას „ვინ?/რა?“: რა ფარავდა მთებს? - ნისლი.

II. მარტივი და რთული წინადადება

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 2 ქულა თითოეულზე · სულ 10 ქულა**

მარტივი და რთული წინადადება: წინადადების ტიპის განსაზღვრა შემასმენლების რაოდენობისა და აგებულების მიხედვით.

მაგალითი

რომელია რთული წინადადება?

ა) წვიმა შეწყდა და ცაზე ცისარტყელა გამოჩნდა.

ბ) წვიმის შემდეგ ცაზე ცისარტყელა გამოჩნდა.

გ) ცაზე ლამაზი ცისარტყელა გამოჩნდა.

სწორი პასუხი: ა) წვიმა შეწყდა და ცაზე ცისარტყელა გამოჩნდა. → აქ ორი შემასმენელია (შეწყდა, გამოჩნდა): ორი მარტივი წინადადება ერთ რთულ წინადადებად არის გაერთიანებული.

III. წინადადების ტიპები შინაარსის მიხედვით

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 2 ქულა თითოეულზე · სულ 10 ქულა**

წინადადების ტიპები შინაარსის მიხედვით: თხრობითი, კითხვითი და ბრძანებითი წინადადებები.

მაგალითი

რა ტიპის წინადადებაა: „გთხოვ, ფანჯარა დახურე“? **ა)** თხრობითი **ბ)** კითხვითი **გ) ბრძანებითი**

სწორი პასუხი: გ) ბრძანებითი → წინადადება თხოვნას, მოწოდებას გამოხატავს, ამიტომ ბრძანებითია.

IV. ჩართული და მიმართვა

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 3 ქულა თითოეულზე · სულ 15 ქულა**

ჩართული და მიმართვა: მათი ამოცნობა წინადადებაში და მძიმით გამოყოფის წესი.

მაგალითი

რომელია ჩართული სიტყვა წინადადებაში: „ალბათ, ხვალ თოვლი მოვა“? **ა) ალბათ** **ბ)** ხვალ **გ)** თოვლი

სწორი პასუხი: ა) ალბათ → „ალბათ“ მთქმელის ვარაუდს გამოხატავს, წინადადების წევრი არ არის და მძიმით გამოიყოფა.

V. სასვენი ნიშნები

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 3 ქულა თითოეულზე · სულ 15 ქულა**

სასვენი ნიშნები: წერტილი, მძიმე, ორწერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები, პირდაპირი ნათქვამი.

მაგალითი

რომელი სასვენი ნიშანი უნდა დაისვას გამოტოვებულ ადგილას: მასწავლებელმა გვითხრა ( ) „ხვალ ექსკურსიაზე წავალთ“. **ა) ორწერტილი** **ბ)** წერტილი **გ)** კითხვის ნიშანი

სწორი პასუხი: ა) ორწერტილი → ავტორის სიტყვების შემდეგ, პირდაპირი ნათქვამის წინ, ორწერტილი იწერება: მასწავლებელმა გვითხრა: „ხვალ ექსკურსიაზე წავალთ“.

VI. ტექსტის გააზრება

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **10 შეკითხვა · 4 ქულა თითოეულზე · სულ 40 ქულა**

მოცემულია ისტორიული ტექსტი მიქელ-გობრონზე. შეკითხვები ამოწმებს ტექსტის დეტალურ გაგებას, ინტერპრეტაციასა და შეფასებას.

მაგალითი

1960 წელს იეჰუსაღიმის ჯვრის მონასტერში ქართველმა მეცნიერებმა შოთა ჩუსთაველის ფრესკა აღმოაჩინეს. ფრესკაზე პოეტი მუხლმოდრეკილი მოხუცის სახითაა გამოსახული. ეს აღმოჩენა მნიშვნელოვანი იყო, რადგან ჩუსთაველის ცხოვრების შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი.

რატომ იყო ფრესკის აღმოჩენა მნიშვნელოვანი?

ა) რადგან ფრესკა ძალიან დიდია

ბ) რადგან რუსთაველის ცხოვრების შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი

გ) რადგან მონასტერი ახლად აშენდა

სწორი პასუხი: ბ) რადგან რუსთაველის ცხოვრების შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი → ტექსტის ბოლო წინადადება მიზეზს პირდაპირ ასახელებს: პოეტის ცხოვრების შესახებ ცნობები მწირია.

ბონუს სექცია

ძირითადი ტესტის შემდეგ მოცემულია ბონუს სექცია: **5 შეკითხვა**, თითოეული 5 ქულა, ჯამში **25 ქულა**. შეკითხვები ზოგადია და ეხება ლექსიკას, ანდაზებს, გამოცანებსა და ფრაზეოლოგიზმებს. ბონუს ქულებით მოსწავლეს შეუძლია ტესტში დაშვებული **შეცდომები აანაზღაუროს**.

ქართული ენის ოლიმპიადის I უფასო ტური გაიმართება 8 ნოემბერს. გელოდებით!